№3 / 5 მარტი / 2008წ /

ყოველთვიური ჩანართი

პროექტის პირველი ნაწილი დასასრულს უახლოვდება

„ცხოვრება დიდი, ამოუცნობი პირამიდაა, რომლის გარშემოც ადამიანები განუწყვეტლივ ფუსფუსებენ, ხარობენ, ტირიან, უყვართ, სძულთ, იბრძვიან, თავს იკლავენ. ცდილობენ გამოგლიჯონ მას თავიანთი წილი ბედნიერება...“ მეც, არასამთავრობო ორგანიზაცია „ინტელექტთან“ ერთად ვცდილობ კარგი საქმე გავაკეთო, ვცდილობთ ხალხის გასაჭირი ხელისუფლების ყურამდე მივიტანოთ, ვცდილობთ ჩვენი საქმით ერთი აგური დავდოთ სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის საქმეში...

ჩვენი ჩანართის წინა ნომრებიდან მკითხველმა კარგად იცის, რომ პროექტი ,,თემთა მობილიზაციის ინიციატივა“ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ ,,ინტელექტის“ მიერ 2007 წლის 10 ოქტომბრიდან ხორციელდება, რომლის მთავარი მიზანია მოსახლეობის ჩართულობის დონის ამაღლება თვითმმართველობის საკითხებში.

მოსახლეობის საერთო კრებებს აჭარის ხუთ მუნიციპალიტეტში (ხულო, შუახევი, ქედა, ხელვაჩაური, ქობულეთი) ,,ინტელექტის“ სამი ეკონომისტ-ექსპერტი ატარებს. იკვლევენ პრობლემებს, რომლებიც ამა თუ იმ სოფელს აწუხებს და რომლის მოგვარებასაც მოსახლეობა პრიორიტეტად მიიჩნევს. აჭარის ხუთ მუნიციპალიტეტში 63 თემია, დღეის მონაცემებით, მოსახლეობის საერთო კრება ჩატარებულია 47 თემში.

პრობლემების კვლევის მეთოდიკისა და პრაქტიკის დანერგვის, თვითმმართველობის საკითხებში მოსახლეობის მონაწილეობის დონის ამაღლების პარალელურად ,,ინტელექტი“ ცდილობს მოსახლეობას ასწავლოს როგორ მიაწვდინოს ხმა ხელისუფლებას.

პროექტის დაწყების შემდეგ ,,ინტელექტის“ გამგეობის თავმჯდომარე ლევან გობაძე ყველა მუნიციპალიტეტის გამგებელსა და საკრებულოს თავმჯდომარეს შეხვდა და მათგან პროექტის განხორციელებაში ხელშეწყობის პირობა მიიღო. რადგან იმ საქმეს, (საბიუჯეტო კვლევები) რაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა გააკეთონ (და იმედია აკეთებენ) ,,ინტელექტი“ პროექტის „თემთა მობილიზაციის ინიციატივა“ – ფარგლებში აკეთებს. მუნიციპალური საკრებულოების თავმჯდომარეებსა და გამგებლებს თანამშრომლობის თაობაზე ოფიციალური წერილებიც კი დაეგზავნათ, მაგრამ მიუხედავად შეპირებული თანამშრომლობისა, რაც უკვე 47 თემში ჩატარებულმა კრებებმაც ცხადყო, მოსახლეობის მობილიზაცია, საკრებულოს მაჟორიტარი წევრებისა და რწმუნებულების დასწრება ,,ან“ არ „ვერ“ მოხერხდა. მიზეზებისა და დამნაშავეების ძიება შორს წაგვიყვანს, ამიტომ შევეცდები მოკლედ დავახასიათო მდგომარეობა მუნიციპალიტეტების მიხედვით:

ᲮᲣᲚᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ

13 თემიდან მოსახლეობის საერთო კრება ჩატარებულია ცამეტივე თემში. სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით, ხულოს მუნიციპალიტეტში მოსახლეობის სწრებადობის მიხედვით ყველაზე კარგი მდგომარეობაა. კრებაზე სულ მოვიდა 653 ადამიანი, აქედან თემის რწმუნებული ესწრებოდა 12 თემში, მაჟორიტარი დეპუტატი კი – 8 თემში.

ᲥᲔᲓᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ

ქედის მუნიციპალიტეტშიც 9 თემიდან საერთო კრება ჩატარებულია ყველა თემში. 9 თემიდან საერთო კრებებს სულ დაესწრო 315 ადამიანი. კრებას მაჟორიტარი დეპუტატი 2 თემში ესწრებოდა, ხოლო რწმუნებული – 7თემში.

ᲮᲔᲚᲕᲐᲩᲐᲣᲠᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ

აქ სულ 13 თემია, კრება კი 11 თემშია ჩატარებული, რომლებსაც, საერთო ჯამში, 345 ადამიანი ესწრებოდა. პრობლემის არჩევაში მაჟორიტარი დეპუტატები მონაწილეობდნენ 3 თემში, ხოლო რწმუნებულები კი – 9 თემში.

ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ

ქობულეთის მუნიციპალიტეტი თემების რაოდენობის მიხედვით ყველაზე დიდია აჭარის რეგიონში, სულ 20 თემია. კრება ჩატარდა 14 თემში, რომელზეც, საერთო ჯამში, 423 ადამიანი ესწრებოდა. თუ გავითვალისწინებთ ჩატარებული კრებების რაოდენობას, მოსახლეობის ეს რაოდენობა დაბალია. აქ კრებას მაჟორიტარი დეპუტატები ესწრებოდნენ 10 თემში, ხოლო რწმუნებულები – 13 თემში, რაც არც ისე ცუდი მონაცემია.

რაც შეეხება შუახევის მუნიციპალიტეტს, დიდთოვლობისა და ცუდი ამინდების გამო მოსახლეობის საერთო კრებების ჩატარება ვერ მოხერხდა. „ინტელექტის“ წარმომადგენლები აქ კრების ჩატარებას უახლოეს მომავალში აპირებენ.

დიაგრამა რაიონების მიხედვით:



№1 ,,სწრებადობა“



№2 ,,დამსწრეთა რაოდენობა“

არჩეული პრობლემების საერთო მონაცემები კი ასე გამოიყურება:



№3 ,,პრობლემები“

ბულლის მუნიციპალიტეტის საციხურის თემის მოსახლეობა

რეპორტაჟი საციხურის თემიდან

ბათუმი-ხულოს ცენტრალური მაგისტრალი 2 საათში დაიფარა, მაგრამ გზა საციხურის თემამდე საკმოდ რთული და დამლღეული აღმოჩნდა. ხუთსაათიანი მგზავრობის შემდეგ მივადექით სოფელ საციხურის გამგეობის შენობას, რომელსაც ეტყობოდა, რომ კომუნისტური წყობილების შემდეგ „პატრონის“ ხელი არ მიჰკარებია. საკმარისია, ერთი თვალის შევლება, რომ მიხვდე, ეს მხარე ,,ღვთისგან და კაცისგან მივიწყებულია“. თემში, სადაც ადრე 350-მდე ოჯახი ცხოვრობდა, დღეისათვის ნახევარიც აღარაა შემორჩენილი. უმეტესობა იძულებული გახდა მამაპაპისეული კერა მიეტოვებინა და უკეთესი ცხოვრების მოსაწყობად სხვაგან გადასულიყო, ყველამ კი ეს ვერ შეძლო, ვერ მიატოვა ,,ნინაპართა ნაოფლარი“ – ,,აქ არც გზა გვაქ ნორმალური, არც წყალი, მარა ჩვენი პატრონი ვინაა? გამგეობიდან ჩვენი ამბის მოსაკითხავად არვინ არ მოსულა, იმედი გიგვიცრუეს, არ იციან რა გვჭირდება“, – შემოგვჩივლა საციხურელმა მოხუცმა. „მართალი ხარ“ – გამოეპასუხა მეზობელს ტაშტან მარკოიძე, – „სოფელ საციხურს ხელმძღვანელი ჭირდება, ერთი კაცი ვეფერს ვერ გააკეთებს…“.

კრება დაიწყო. რომლის მსვლელობისას თემში არსებულ პრობლემებზე ყველა არ საუბრობდა, მოგვიანებით კი, როცა ჯერი მიდგა პრობლემების არჩევაზე, ყველა, ვინც აქამდე ღიმილიანი სახით ადევნებდა თვალყურს მეზობლების ,,საეკრობას“, ჩაერთო პრობლემების პრიორიტეტიზაციაში და ყველა აქტიურად შეეცადა პრობლემების დახასიათებას.

სოფლის შიდა გზები, სარწყავი არხი, სასმელი წყალი, კულტურის სახლის რეაბილიტაცია, ამბულატორიის მშენებლობა — ეს იმ პრობლემათა მცირე ჩამონათვალია, რომლის მოგვარება საციხურში ყველაზე აქტუალურად ჩათვალეს, თუმცა პროექტიდან ,,თემთა მობილიზაციის ინიციატივა“ გამომდინარე, მხოლოდ ერთი, ყველაზე მტკივნეული უნდა აერჩიათ. მოსახლეობის აზრი რამდენიმე ნაწილად გაიყო: ,,ვინმეს არ აინტერესებს რა გვშია და რა გვწყურია, რატომ არნა იყოს სოფელში გზა?“ – „წყალს ჩვენ გავაკეთებთ, გზაზეც ვიმუშავებთ, მთავარი ამბულატორიაა, ექიმია საჭირო. ამხელა თემში ნემსის გამკეთებელი ვინმე არ გვყავს, შეიძლება გამგეობის შენობის ერთი მხარის გადაკეთება და იქ ამბულატორიის მოწყობა“ – ამბობს ალექსანდრე ბოლქვაძე. „გადაკეთება არ გვინდა, ახლის აშენება გვირჩევნია“ – უპასუხა მეზობელს ტაშტან მარკოიძემ „მე ბერი კაცი ვარ, არვის არ ვუნდებვარ და ძველი შენობის გადაკეთებით რამე გამოვა?, მარა თუ საშველი არ იქნება, ძველის გადაკეთებაზეც თანახმა ვართ“.

საბოლოოდ, ყველა პრობლემისგან მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ამბულატორიის მშენებლობას დაუჭირა მხარი. საინიციატივო ჯგუფის ფორმირების დროს მსურველებმა თავიანთი ხელით შეავსეს სია, ზოგმა მეზობელს „ხათრი ვერ გაუტეხა“ და ჩაწერა, შემდეგ „ინტელექტის“ წარმომადგენლებს შეპირდნენ, რომ მათთან აუცილებლად ითანამშრომლებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ,,ხალხი დაშინებულია, რადგან ბევრჯერ დაგვპირდნენ და არაფერი შეგვისრულეს“. ერთ-ერთმა საინიციატივო ჯგუფის წევრმა პირობა წაუყენა ,,ინტელექტის“ ეკონომისტ-ექსპერტს, რომელიც კრებას უძღვებოდა: ,,მადლობელი ვარ რომ მოხველით, ჩვენი პრობლემები მეიკითხეთ, მათი გადაჭრის გზების ძებნაში გვეხმარებით, მარა თუ ტყვილი ლაი-ლაობთ, არ გაპატიებ, ვეწერები საინიციატივო ჯგუფში იმ პირობით, რომ რეალურად გაკეთდება რაც დაგვპირდით, თუ არ გაკეთდება – გცემ!“

კრება დასრულდა ჩვენ კი საციხურელებს მომავალ (საინიციატივო ჯგუფთან) შეხვედრამდე დავემშვიდობეთ.

P.S. პრობლემის დაფინანსება „ინტელექტის“ ფუნქციებში არ შედის, მათი საქმიანობა პრობლემების ძიება, მათი გადაჭრის გზების დასახვა და მიზნობრივი პროგრამების შედგენაა, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა დააფინანსონ. იმედია, ხულოს მუნიციპალური გამგეობა ამბულატორიას აიშენებს, და საციხურელები უექიმობას გადაურჩებიან, ხოლო „ინტელექტის“ ეკონომისტ-ექსპერტი კი ცემსა.:))

www.intellect.org.ge

ინტერნეტმა თავისი ქსელის ქსოვა მე-20 საუკუნის დასასრულს დაიწყო და მთელი მსოფლიო ,,ერთ ამოსუნთქვად“ გაერთიანა. ქსელის არსებობა დღეისათვის ყველაზე მიუვალ სოფელშიც კი არ არის უცხო, რაც იმას ნიშნავს, რომ პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია, მომდევნო ნაბიჯი კი ალბათ, ინტერნეტის მასობრივი გავრცელება და მისი ძირითად საინფორმაციო ნყაროდ გადაქცევა იქნება.

მკითხველს, ალბათ, დააინტერესებს - რა კავშირი აქვს ყოველივე ამას და ,,თემთა მობილიზაციის ინიციატივას“, რომელიც თემის განვითარების საკითხებზე გამოცემულ ჩანართში ამ შესავალს წაიკითხავს. რა კავშირი აქვს და პირდაპირი. ,,ინტელექტმა“ გადაწყვიტა პროექტის მიმდინარეობა დეტალურად გაეშუქებინა ორგანიზაციის საიტზე, რადგან მოსახლეობის საინფორმაციო უზრუნველყოფა გაცილებით იოლი, ეფექტური და ბევრი ადამიანისათვის ხელმისაწვდომი იქნება, ვიდრე ეს საგაზეთო ჩანართითაა შესაძლებელი. ამასთან გაცილებით მიმზიდველი და საინტერესოა. აგრეთვე ვებ-გვერდზე შეგიძლიათ გაეცნოთ არქივსაც.

გარდა პროექტის შესახებ ინფორმაციისა, ვებ-გვერდზე გამოქვეყნდება პროექტის სამიზნე მუნიციპალიტეტების (ხულო, შუახევი, ქედა, ხელვაჩაური, ქობულეთი) საკრებულოებისა და გამგეობების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები, რომლებიც ჩვენი აზრით, განსაკუთრებით საინტერესო იქნება მოსახლეობისათვის და რა თქმა უნდა, ჩვენი თვალით დანახული თემებში არსებული პრობლემები. იმ საქმიანობების აღწერა, რომელსაც განახორციელებს კავშირი ,,ინტელექტი“ და თემების მოსახლეობა ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად.

20 მარტიდან აკრიფეთ www.intellect.org.ge და იყავით სიახლეების საქმის ყურში!!!

,,ვინც საქმეს აკეთებს, პრობლემებიც იმას აქვს“

გურამ ზოიძე



ოთარ ზაქარაძე

თემის მოსახლეობის გაერთიანება და მათი ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტის პროცესებში აქტიური მონაწილეობა, თვითმმართველობის არსებობის მთავარ საფუძველს წარმოადგენს. მოსახლეობის გაერთიანების ერთ-ერთ ფორმა კი სათემო კავშირებია. სათემო კავშირი თავისი არსით არასამეწარმეო იურიდიულ პირს (იმავე არასამთავრობო ორგანიზაციას, როგორც მას დღეისათვის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი უწოდებს) წარმოადგენს, ოღონდ მისი მოქმედების არეალი შეზღუდულია ერთი ან რამდენიმე თემით.

2002-2003 წლებში აჭარის რეგიონში, ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ ძალისხმევითა და ხელშეწყობით ოცი სათემო კავშირი ჩამოყალიბდა. ყოველმა მათგანმა გავითარების რთული გზა განვლო. ბევრმა ვერ გაუძლო დროს და არსებობა შეწყვიტა, ბევრი მათგანი კი დღესაც არსებობს და წარმატებით აგრძელებს თავის საქმიანობას. სათემო კავშირების საქმიანობის ერთ-ერთ წარმატებულ მაგალითს სათემო კავშირები ,,გვანცა“ და ,,ჩაისუბანი“ წარმოადგენენ, რომლებიც დაფუძნებულია 2003 წელს დანდალოსა და ჩაისუბნის თემების მოსახლეობის მიერ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ მხარდაჭერით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განხორციელებული სათემო კავშირების მხარდამჭერ პროექტის ფარგლებში.

სათემო კავშირმა – „გვანცა“, ,,ინტელექტთან“ ერთად, დონორი ორგანიზაციების ხელშეწყობით, განახორციელა გოგაშვილების საჯარო სკოლის რემონტი. რომლის შემდეგ მათ დამოუკიდებლად სხვა პროექტი არ განუხორციელებიათ. სათემო კავშირმა „ჩაისუბანი“ კი ორი პროექტის წარმატებით განხორციელება შეძლო. ერთის ფარგლებში გარემონტდა სოფელ ჩაისუბნის საჯარო სკოლის მარცხენა ფასადი, რომელიც მთლიანად ჩამოშლილი იყო, ხოლო მეორე პროექტის ,,ნაბიჯ-ნაბიჯ საგანმანათლებო პროგრამა დანყებითი კლასის მოსწავლეთათვის“, ფარგლებში კი სოფელ ჩაისუბნის საჯარო სკოლაში ასი მოსწავლისათვის საჭირო ინვენტარი შეიტანეს. პროექტს ,,CARE საერთაშორისო კავკასიაში“ აფინანსებდა. ,,შეიძლებოდა კიდევ ბევრი საინტერესო პროექტის განხორციელება, მაგრამ 2003 წელში ის რაც გავაკეთეთ საკმარისი იყო, რადგან ასლან აბაშიძის რეჟიმის დროს სათემო კავშირებს არავითარი მხარდაჭერა და გვერდში დგომა არ გვქონდა“ – ამბობს სათემო კავში „ჩაისუბნის“ თავმჯდომარე გურამ ზოიძე.

2007 წლის ოქტომბრიდან კი სათემო კავშირები „გვანცა“ და „ჩაისუბანი“ კვლავ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ პარტნიორები არიან და მონაწილეობას იღებენ პროექტის ,,თემთა მობილიზაციის ინიციატივას“ განხორციელებაში. პროექტის ფარგლებში სათემო კავშირი ,,გვანცა“ ქედის მუნიციპალიტეტის, ხოლო სათემო კავშირი „ჩაისუბანი“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის თემებში ახორციელებენ მოსახლეობის მობილიზაციას, ადგილებზე არსებული პრობლემების გამოკვეთას, მათ პრიორიტეტიზაციას, მიზნობრივი პროგრამების შემუშავებასა და ადგილობრივ ბიუჯეტებში მათი ჩართვისათვის ლობირების განხორციელებას.

,,პროექტი ,,თემთა მობილიზაციის ინიციატივა“ ჩემს მუნიციპალიტეტში 9 თემს მოიცავს, დაინტერესებული ვარ, რომ მოსახლეობას გავუწიო კარგი მობილიზაცია და ჩავრთო პროექტში. ვინც მუშაობს, პრობლემებიც იმას აქვს ჩვენ კი ვცდილობთ, რომ ის სირთულეები, რომლებიც გვხვდება, გადავლახოთ. გამოცდილება დიდი გვაქვს და ეს გვაძლევს საშუალებას საქმე კარგად გავაკეთოთ. მოსახლეობის მობილიზაცია ცოტა ჭირს, მაგრამ ყველანაირად შევეცდებით მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება მოხდეს საკრებულოსა და გამგეობაში“ – განაცხადა სათემო კავშირ „გვანცას“ თავმჯდომარემ ოთარ ზაქარაძემ;

სათემო კავშირ „ჩაისუბანის“ თავმჯდომარე, გურამ ზოიძე ამბობს, რომ ,,ეს პროექტი კარგი წამოწყებაა. მიხარია, რომ მონაწილეობას ვღებულობ და ჩემი მუნიციპალიტეტის, ჩემი ხალხის გვერდით ვარ. რა თქმა უნდა, სირთულეებიც არის, მაგრამ ვცდილობთ გადავლახოთ. ძირითადი პრობლემა მოსახლეობის პასიურობაა, მაგრამ იმედია მდგომარეობა გამოსწორდება, ხალხი გააქტიურდება და ხელისუფლება იძულებული გახდება ხალხს მოუსმინოს, ისწავლოს მათი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედება“.

საგაზეთო ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“

საგაზეთო ჩანართის რედაქტორი: გურანდა შაინიძე

საგაზეთო ჩანართი „თემთა ინიციატივა“
მისამართი: ბათუმი, რუსთაველის გამზ. №25
ტელ.: 77415, ფაქსი: 77126
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებგვერდი: www.intellect.org.ge